საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

29.02 2008 წ. № 29/3828/5-4

სსიპ წმ. ანთიმოზ ივერიელის სახელობის
166-ე საჯარო სკოლის დირექტორს
ქალბატონ ირმა ომანაძეს

ქალბატონო ირმა, .

თქვენს 2007 წლის 20 დეკემბრის №102/2 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ინდ. ბინათმშენებლობის. ამხანაგობა „დიდუბე 23"-ის მიერ დიდუბის ქუჩა №23-ში ასაშენებელ მრავალფუნქციურ შენობას, გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის 166-ესაშუალო სკოლას და დიდუბის ქუჩა №23-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს დღევანდელი სიტუაციით ურთიერთ შორის აქვთ ღიობები. აქედან გამომდინარე და ასევე 166-ე საჯარო სკოლის დირექციისა და სამეთვალყურეო საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის გათვალისწინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ არის იმის წინააღმდეგი, რომ ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23"-ის დაკვეთით დიდუბის ქუჩა №23-ში ასაშენებელ მრავალფუნქციურ შენობას ფანჯრის ღიობები ჰქონდეს 166-ე საჯარო სკოლის მხარეს, რისთვისაც საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 18 სექტემბრის №57 ბრძანების „ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ" თანახმად საჭიროა ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა.

ვინაიდან ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის 166-ე საჯარო სკოლის შენობა, მიწის ნაკვეთით, რომელზედაც სკოლაა დამაგრებული წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, რომლის განმკარგავიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროა, იმისთვის რომ სკოლის ხელმძღვანელობამ ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23"-ს მისცეს ზემოთაღნიშნული ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა, საჭიროა იმოქმედოთ სამინისტროს მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე (თან ერთვის).

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 93 28 61, 92 01 08

181

მინდობილობა გაძლევათ იმისთვის, რომ მრავალფუნქციურ შენობას, რომელიც ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23“-ის დაკვეთით აშენდება ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის 166-ე საჯარო სკოლისა და ამ შენობის ნაკვეთების საზღვართან დიდუბის ქუჩა №23-ში, შეთანხმება მხოლოდ იმ პირობით მოხდეს 166-ე საჯარო სკოლასა და ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23“-ის წევრებს, ბინათმესაკუთრეებს ან/და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეებს შორის, იმაზე რომ ამ შენობას სკოლის მხარეს ექნება ღიობები თუ ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23“-ის წევრები, ბინათმესაკუთრეები და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეები არ იქნებიან წინააღმდეგნი და არ ექნებათ რაიმე პრეტენზია ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის 166-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ნაკვეთების საზღვართან მოქმედი კანონმდებლობის დაცვით სხვა რაიმე ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, (მათ შორის ნაკვეთების საზღვრიდან 5,0 მ-ზე ნაკლებ მანძილზე ერთ კედლის აშენების შემთხვევაში) რის შესახებაც გაფრთხილებულნი უნდა იქნენ ამხანაგობის როგორც ამჟამინდელი, ასევე შემდგომში მისი სხვა წევრები, ბინათმესაკუთრეები და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეები მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებისას საკუთრების შემძენი სხვა პირები.

აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევა მხოლოდ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

დანართი: მინდობილობა 1ფ.

პატივისცემით,

გიორგი ლეჟავა

მინისტრის პირველი მოადგილე

დასკანირებულია (14)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

MINISTER OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

„29" 02 2008 წ. № 29/3828/5-7

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ეძლევა სსიპ ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის 166-ე საჯარო სკოლის დირექტორს ირმა ომანაძეს (მისამართი რუსთავი, ტაშკენტის ქ. კორპ.5, ბ.45, პირადი №35001062578, № გ 0528877, დაბადების თარიღი 04.09.1967, დაბადების ადგილი ცაგერი, პირადობის მოწმობის გამცემი ორგანო რუსთავის შს სამმართველო) მასზედ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელით საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 18 სექტემბრის №57 ბრძანების „ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ" თანახმად მისცეს ნოტარიული წესით დამოწმებული [თანხმობა ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23"-ს, იმის თაობაზე, რომ მრავალფუნქციურ შენობას, რომელიც აშენდება ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის 166-ე საჯარო სკოლისა და ამ შენობის ნაკვეთების საზღვართან დიდუბის ქუჩა №23-ში, სკოლის მხარეს ჰქონდეს ღიობები იმ პირობით, რომ ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23"-ის წევრები არ იქნებიან წინააღმდეგნი და არ ექნებათ რაიმე პრეტენზია ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის 166-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ნაკვეთების საზღვართან მოქმედი კანონმდებლობის დაცვით სხვა რაიმე ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, (მათ შორის ნაკვეთების საზღვრიდან 5,0 მ-ზე ნაკლებ მანძილზე ყრუ კედლის აშენების შემთხვევაში) რის შესახებაც გაფრთხილებულნი უნდა იქნენ ამხანაგობის როგორც ამჟამინდელი, ასევე შემდგომში მისი სხვა წევრები და მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებისას საკუთრების შემძენი პირები.]

ეკატერინე შარაშიძე

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 92 01 08, 93 49 24

183

დასკანირებულია 14

ერთი მხრივ ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის „№166–ე საჯარო სკოლის დირექტორი, ირმა ომანაძე, (შემდგომში „სკოლა"), მეორე მხრივ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23"–ის თავმჯდომარე, ომარ აბულაძე, (შემდგომში „ამხანაგობა") ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელით საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის მინისტრის 2001წლის 18 სექტემბრის №57 ბრძანების „ ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ" „სკოლა" თანახმაა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობას „დიდუბე 23"–ს, იმის თაობაზე, რომ მრავალფუნქციურ შენობას, რომელიც აშენდება „სკოლის" და ამ შენობის ნაკვეთების საზღვართან დიდუბის ქ. №23–ში, „სკოლის" მხარეს ჰქონდეს ღიობები, ასევე მშენებლობის წარმოების დროს გათვალისწინებული იქნას მშენებლობის უსაფრთხოების შესაბამისი ღონისძიებები სკოლის მხარეს.

ამხანაგობა „დიდუბე 23" არ არის წინააღმდეგი და არ ექნება რაიმე პრეტენზია „სკოლის" ტერიტორიაზე ნაკვეთების საზღვართან მოქმედი კანონმდებლობის დაცვით სხვა რაიმე ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში (მათ შორის ნაკვეთების საზღვრიდან 5,0 მეტრის მანძილზე ყრუ კედლის ამოშენების შემთხვევაში) ასევე ამხანაგობის როგორც ამჟამინდელი, შემდგომში მისი სხვა წევრები და საკუთრების შემძენი პირები.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23"-ს

თავმჯდომარე: ომარ აბულაძემ

ქ. თბილისის წმინდა ანთიმოზ ივერიელის „№166–ე საჯარო სკოლის

დირექტორი: ირმა ომანაძე,

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

რეგისტრირებულია რეესტრში № 1- 3941

ორიათას რვა წლის **ათ მარტს**, მე ნოტარიუსს ქ. თბილისში მარიკა გოგოლაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის 183, მომმართეს მოქ. **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დიდუბე 23"-ს** თავმჯდომარემ **ომარ აბულაძემ** (დაბ. 09.12.1944 წ. თერჯოლაში, მცხოვრები: თბილისი, ლილოს დასახლება, V კვარტალი, კორპუსი 2, ბ. 91. პ/მ 01028001866, № ბ 0027983, გაც. 14.12.1995 წ. სამგორის შს I ქ/გ მიერ);

ირმა ომანაძემ (დაბ. 04.09.1967 წ. ცაგერში, მცხოვრები: რუსთავი, ტაშკენტის ქ. კორპუსი 5, ბ. 45. პ/მ 35001062578, № გ 0528877, გაც. 01.07.2004 წ. რუსთავის შსს მიერ)

რომელთაც წარმოადგინეს შეთანხმება და მოითხოვეს ამ დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმება. მე შევამოწმე პირადობა და ქმედუნარიანობა მათ პირადობასა და ქმედუანრიანობაში ეჭვი არ შემპარვია. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი.

ომარ აბულაძემ გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური ოთხი ლარი + დღგ სამოცდათორმეტი თეთრი, სულ ოთხი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ. №1417 II ს) 29-ე მუხლისა.

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე